

585
1965/3

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები



№ 30 (299)

დეკემბერი

1965 წელი

შ ი ნ ა რ ს ი

623. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ბანყოფილება პირველი

624. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ აღმგენის, ასპინძისა და შუახევის რაიონების შექმნის შესახებ.

625. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის შექმნის შესახებ.

626. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. გ. შ. მიქელაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.


627. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

628. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნარკომანებისა და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ.

629. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“ საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონში დამატებათა შეტანის თაობაზე.

630. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონში კოლმეურნეობების წევრობის პენსიებისა და დახმარების დანიშვნის მდგომარეობის შესახებ.

631. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჩადენილ დანაშაულობათა თაობაზე მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვისა და განხილვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანოებში.



- 632. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბოლნისის რაიონის ქვეშის სასოფლო საბჭოს სოფელ კაზრეთისა და კაზრეთის მუშათა დასახლებების გაერთიანებისა და დაბა კაზრეთის შექმნის შესახებ.
- 633. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბის დაბად გარდაქმნის შესახებ.

**საპარტიველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული
კანონები და დადგენილებანი**

(საქართველოს სსრ შექვევ მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია)

- 634. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.
- 635. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.
- 636. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საქართველოს სსრ 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.
- 637. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ.
- 638. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი აშხ. მ. ი. კუჭავას საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.
- 639. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
- 640. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტროს შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 56-ე მუხლში დამატების შეტანის თაობაზე.
- 641. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი აშხ. შ. მ. თათარაშვილის საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
- 642. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ.
- 643. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი აშხ. გ. შ. მიქელაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
- 644. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“ საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონში დამატებათა შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
- 645. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ აღიგენის, ასპინძისა და შუაბევის რაიონების შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-19 და 21-ე მუხლებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ.

646. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „ნარკომანიებისა და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
647. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

განყოფილება მეორე

648. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწალბულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
649. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
650. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ვ. მოზვეციკაიასათვის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
651. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. გ. ხეჩინაშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
652. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. პ. მესხისათვის საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
653. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. ბერულავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
654. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. ყანჩაელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
655. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. დ. შარაძენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
656. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ს. მეგრელიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
657. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. დ. ბოლქვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
658. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
659. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
660. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ს. აბესაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
661. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ნ. ვარაზაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.



677. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ა. ი. ჩარკვიანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ბანკოფილიბა მისამი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიაში.
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.
 საინფორმაციო ცნობა.
 1965 წლის ანბანურ-საგნობრივი საძიებელი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

623 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. კოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გომრბაძე.

თბილისი, კრემლი. 1965 წლის 29 დეკემბერი.

№ 4317-VI.

ბანუოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

624 საქართველოს სსრ აღიგანის, ასპინძისა და შუახევის რაიონების შეიქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

1. გამოეყოს ახალციხის რაიონს: ადიგენის, აბასთუმნის სადაზო საბჭოების ტერიტორია, ბოლაჯაურის, ვარხანის, ლელოვანის, მლაშეს, მოხის, უდის, ჭეჭელის და დიდი სმადის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან ადიგენის რაიონი ცენტრით დაბა ადიგენში.

2. გამოეყოს ახალციხის რაიონს: ასპინძის სადაზო საბჭოს ტერიტორია, ძველის, რუსთავის, ნაქალაქევის, დამალის, ტოლოშის, ხიზაბაგის, იდუშალის, ორგორისა და აწყვიტის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან ასპინძის რაიონი ცენტრით დაბა ასპინძაში.

3. დამტკიცდეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება ხულოს რაიონიდან შუახევის, ბარათაულის, დღვანის, შუბანის, ოლადაურის, ზამლეტის, უჩამბის, წყლისაყრის და ჭვანის სასოფლო საბჭოების ტერიტორიის გამოყოფისა და მათგან შუახევის რაიონის შექმნის შესახებ ცენტრით სოფელ შუახევიში.

4. მორიგ არჩევნებამდე შენარჩუნებულ იქნეს რაიონული საბჭოების დეპუტატების (შესაბამისი საარჩევნო ოლქებიდან) რწმუნებანი ახლად შექმნილი რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი. 1965 წლის 28 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

625 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის შემადგენელი წევრების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1965 წლის 30 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

626 აზნ. ბ. შ. მიქაბაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარედ დანიშნვის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
დაინიშნოს აზნ. გივი შალვას ძე მიქელაძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1965 წლის 30 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

627 ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ ცეცხლსასროლი იარაღით სროლა დასაბუთებულ ადგილას, აგრეთვე ისეთ ადგილას, რომელიც საამისოდ არ არის განკუთვნილი, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა უშიშროებას ან არღვევს საზოგადოებრივ მყუდროებას, კუთხვილი ცეცხლსასროლი იარაღის სხვა პირისათვის მიცემა, ამ იარაღის ხელახალი რეგისტრაციის თავიდან აცილება, აგრეთვე გლუველულიანი სანადირო თოფების მიყიდვა ან მიცემა იმ პირისათვის, რომელსაც სანადირო ბილეთი არა აქვს, თუ ამ ქმედობის გამო სისხლის სამართლის სასჯელი არ არის გათვალისწინებული, გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — ჯარიმას 20 მანეთამდე, იარაღის უსასყიდლოდ ჩამორთმევით.

2. ორგანიზაციიდან ან დაწესებულებიდან კუთხვილი ცეცხლსასროლი იარაღის, აგრეთვე გლუვკულიანი სანადირო თოფის და ამ იარაღებისათვის საჭირო საბრძოლო მასალის მიყიდვა იმ პირისათვის, რომელსაც ასეთი იარაღის შეძენის ნებართვა ან სანადირო ბილეთი არა აქვს, საუწყებო ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა ამ იარაღის გატაცება ან დაკარგვა, სხვისთვის გადაცემა ან არადანიშნულებისამებრ გამოყენება, თუ ასეთი ქმედობის გამო არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის სასჯელი, გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — წარმოების, ორგანიზაციისა და დაწესებულების იმ მუშაკის დაჯარიმებას 30 მანეთამდე, რომელიც დამნაშავე იქნება ამაში.

3. მასალებს იმ პირების შესახებ, რომლებმაც დაუშვეს ამ ბრძანებულების 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული მართლწესრიგის დარღვევა, განიხილავენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწანიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭავაძე**.

თბილისი, 1965 წლის 17 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და ნარკომანებისა და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაამენის შესახებ

ითვალისწინებს რა ნარკოტიკულ ნივთიერებათა გამოყენების, აგრეთვე გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) მხრივ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევათა საზოგადოებრივ საშიშროებას და მხედველობაში იღებს მშრომელთა კოლექტივებისა და ცალკეული მოქალაქეების წინადადებებს ნარკომანიისა და ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

1. დაწესდეს იძულებითი მკურნალობა ნარკომანებისათვის, აგრეთვე გამოუსწორებელი ლოთებისათვის (ალკოჰოლიკებისათვის), რომლებიც მკურნალობას თავს არიდებენ და, მიუხედავად მათ მიმართ მიღებული საზოგადოებრივი ან ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებისა, სისტემატურად ხმარობენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს ან ბოროტად იყენებენ სპირტიან სასმელებს და ამ ნიადაგზე არღვევენ შრომის დისციპლინას, საზოგადოებრივ წესრიგს და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

2. ამ ბრძანებულების პირველ პუნქტში აღნიშნული პირები გაგზავნილ უნდა იქნენ სპეციალურად მოწყობილ სამკურნალო-შრომით დაწესებულებებში იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნისათვის მათ განკურნებამდე.

3. იძულებითი მკურნალობა არ შეეფარდება ფსიქიურად დაავადებულებს, არასრულწლოვანებს, პირველი ჯგუფის ინვალიდებს, აგრეთვე მამაკაცებს 60 წლისა და ქალებს 55 წლის ასაკს ზევით.

4. მასალებს სამკურნალო-შრომით დაწესებულებებში აღნიშნულ პირთა გაგზავნის შესახებ (იმ პირობით, რომ ამ მასალებში უნდა იყოს სამედიცინო დასკვნა) განიხილავენ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების, სხვა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან შრომელთა კოლექტივების შუამდგომლობით ღია სასამართლო სხდომაზე, ამასთან გამოძახებული უნდა იყოს ის პირი, რომლის მიმართაც აღძრულია შუამდგომლობა, ხოლო საჭირო შემთხვევაში სასამართლო სხდომას უნდა ესწრებოდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

სასამართლოში განსახილველ მასალას მოამზადებენ და გაგზავნიან მილიციის ორგანოები.

5. სასამართლოს დადგენილება, რომ პირი მოათავსონ ან არ მოათავსონ სამკურნალო-შრომით დაწესებულებაში, არ გასაჩივრდება, მაგრამ შეიძლება გაპროტესტებულ იქნეს საპროკურორო ზედამხედველობის წესით.

სასამართლოს დადგენილებას აღასრულებენ მილიციის ორგანოები.

6. სასამართლოს დადგენილებით სამკურნალო-შრომით დაწესებულებებში მყოფი პირები შეიძლება აგრეთვე ვადამდე გათავისუფლებულ იქნენ, თუ მათ შეეყრება ისეთი მძიმე დაავადება, რომელიც ხელს უშლის მათს შემდგომ ყოფნას ამ დაწესებულებაში.

7. იძულებით მკურნალობას შეწყვეტს სასამართლო იმ დაწესებულების წარდგენით, სადაც იმყოფება პირი სამკურნალოდ.

8. ის პირები, რომელთა მიმართ აღძრულია იძულებითი მკურნალობის და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შუამდგომლობანი, თუ თავს აარიდებენ სამედიცინო გამოკვლევას ან სასამართლოში გამოცხადებას, უნდა მოიყვანონ მილიციის ორგანოებმა.

9. სამკურნალო-შრომით დაწესებულებაში ყოფნის დროს მუშაობა ჩაითვლება საერთო შრომის სტაჟში, შვებულება ასეთ პირებს ამ პერიოდისათვის არ მიეცემა.

10. სამკურნალო-შრომით დაწესებულებებში მოთავსებულ პენსიონერებს პენსია ეძლევათ.

სამკურნალო-შრომით დაწესებულებაში მოთავსებულ პირთა შრომა ანაზღაურდება საერთო საფუძველზე. ხელფასიდან და მისაღები პენსიიდან მათ უკავებენ თანხებს სამკურნალო-შრომით დაწესებულებაში მათი შენახვის ხარჯების, კვების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სამკურნალო-შრომით დაწესებულებაში შენახვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების ნაწილობრივ დასაფარავად. დარჩენილი თანხა გადაერიცხება ოჯახს, ხოლო თუ ოჯახი არა ჰყავს, ჩაირიცხება მის პირად ანგარიშზე.

11. სამკურნალო-შრომითი დაწესებულებიდან დაბრუნებულ პირთა შრომითი მოწყობა, როგორც წესი, უნდა მოხდეს მათ წინანდელ სამუშაოზე და

ეკისრება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი
 12. სამკურნალო-შრომით დაწესებულებებში მყოფ პირებს რჩებათ სა-
 ცხოვრებელი ფართობის უფლება მათი წინანდელი საცხოვრებელი ადგილის
 მიხედვით.

13. სამკურნალო-შრომითი დაწესებულებიდან ან სამკურნალო-შრომით
 დაწესებულებაში წაყვანის დროს გზიდან გაქცეული პირები მილიციის ორგა-
 ნოებმა უნდა დააკავონ და მიიყვანონ სამკურნალო-შრომით დაწესებულებაში.

14. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განახორციელოს ამ
 ბრძანებულებიდან გამომდინარე ღონისძიებანი.

15. ეს ბრძანებულება ძალაში შედის 1966 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭავაძე.

თბილისი, 1965 წლის 18 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

629 „საქართველოს საგროთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტო-
 ნომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა
 დეპუტატების აღკვილობრივი საზოგადოების საბიუჯეტო უფლებების
 შესახებ“ საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონი დამა-
 ტავათა შებანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებანი „საქართველოს საბჭოთა სოციალის-
 ტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ
 მშრომელთა დეპუტატების აღკვილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების
 შესახებ“ საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონში:

1. კანონის მე-2 კარის მე-12 მუხლში სიტყვების „აგრეთვე სამხრეთ ოსე-
 თის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი
 კომიტეტის“ შემდეგ დაემატოს „და თბილისის მშრომელთა დეპუტატების სა-
 ქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის“.

2. მე-6 კარის 78-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ პუნქტი:

„ე) კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად ქალაქ თბილისის ბიუჯეტში იქმ-
 ნება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი
 კომიტეტის გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭავაძე.

თბილისი, 1965 წლის 13 დეკემბერი.

დადგინილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

630 საქართველოს სსრ ზოგირით რაიონში კოლმეურნეობების წევრთათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის მიერ ჩატარებული შემოწმების მასალები საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონში კოლმეურნეობების წევრთათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნის მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ საკოლმეურნეო არტელის წევრთათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნა ძირითადად კანონის შესაბამისად მიმდინარეობს. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სისტემატურად იხილავენ ამ საკითხს და საჭირო ღონისძიებებს ატარებენ საპენსიო კანონმდებლობის სწორად გატარების საქმეში.

მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან სოცურუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოები. ისინი ეხმარებიან კოლმეურნეობის წევრებს დოკუმენტების შეგროვებასა და გაფორმებაში, ამოწმებენ შრომის წიგნაკების შევსების სისწორეს, ზრუნავენ საკოლმეურნეო არქივის მოწესრიგებაზე. საბჭოები ანგარიშს აბარებენ კოლმეურნეობის წევრების საერთო კრებებს.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში აღნიშნავს, რომ კოლმეურნეობის წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნის საქმეში ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს.

არის შემთხვევები, როცა პენსიების დანიშვნა ხდება არასწორად, დაშვებულია შეცდომები კოლმეურნეთა მუშაობის სტაჟის დადგენაში, არ სრულდება სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში კოლმეურნეობათა შესატანი ფულადი სახსრების გადარიცხვის გეგმა და ა. შ.

შემოწმებით გამოვლინდა, რომ მიმდინარე წლის ნოემბრისათვის ჩონხატურის რაიონის კოლმეურნეობებს საკავშირო ფონდში არ ჰქონდათ ჩარიცხული 45.000 მანეთი, ჩხოროწყუსას — 22.502 მანეთი, ხობისას — 17.968 მანეთი, ახმეტისას — 17.336 მანეთი. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი წულუკიძის, წყალტუბოს, ცხაკაიასა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებში.

ახმეტის რაიონის ოჟიოს სასოფლო საბჭოს აღმასკომმა კოლმეურნე ა. ს. კუპრაშვილს მისცა ცნობა იმის შესახებ, რომ ის, თითქოს, დაბადებული იყო 1904 წელს, ფაქტიურად და საკომლო წიგნების ჩანაწერების მიხედვით კი იგი დაბადებულია 1909 წელს. ასეთი არასწორი ცნობის საფუძველზე ა. ს. კუპრაშვილმა უკანონოდ მიიღო 116 მანეთი.

წულუკიძის რაიონის 1.165 კოლმეურნეს პენსია დაენიშნა საკოლმეურნეო საბჭოში განცხადების შეტანის დღიდან და არა პენსიების დანიშვნელ კომი-

სიაში მასალების მიღების დღიდან. ამან კი გამოიწვია 15.144 მანეთის უკანონოდ გაცემა.

ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათის კოლმეურნეობის წევრს კ. მ. ჩხაიძეს ინვალიდობის II ჯგუფის პენსია დაენიშნა 55 მანეთისა და 37 კაპიკის ოდენობით თვეში, ნაცვლად კანონით დადგენილი მაქსიმუმისა — 51 მანეთისა.

მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებში შემოწმებული 416 საქმიდან 25 საპენსიო საქმეში არ იყო პენსიონერის ხელისმოწერა განცხადებაზე პენსიის დანიშვნის შესახებ, 313 საქმეში არ აღმოჩნდა დაბადების მოწმობა, 295 საქმეში არ იყო პენსიონერის ფოტოსურათი, 19 საქმეში მოწმეთა ჩვენებები მუშაობის სტაჟის დადგენის შესახებ არ იყო დადასტურებული კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის ხელისმოწერით, 85 საქმეში კოლმეურნეობის მიერ გაცემულ ცნობებში ნახვენები არ იყო მუშაობის სტაჟი.

ახმეტის რაიონის სოფელ მატანის სოცუზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოში აღმოჩნდა კოლმეურნეთა მიერ მიმდინარე წლის თებერვალ-მარტში შეტანილი 14 განცხადება, რომლებიც ყოველგვარი რეაგირების გარეშე იყო დატოვებული.

ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანის კოლმეურნეობის გამგეობის სახელზე სექტემბერ-ოქტომბერში შეტანილი 4 განცხადება განხილული არ იყო იმ მოტივით, რომ ამ ხნის განმავლობაში გამგეობის სხდომა არ შემდგარა.

რიგ კოლმეურნეობაში არადაამკმაყოფილებელ მდგომარეობაშია კოლმეურნეობის წევრთა შრომის წიგნაკების წარმოების საქმე.

ბორჯომის რაიონის კოლმეურნეობებში საერთოდ არ წარმოებს შრომის წიგნაკების შევსება. ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესის კოლმეურნეობაში არასაკმარისი რაოდენობითაა შრომის წიგნაკები.

ნაკლოვანებებია სოცუზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოების მიერ კოლმეურნეობის წევრებისათვის ანგარიშის ჩაბარების საქმეში. ბორჯომის, ხობისა და მაიაკოვსკის რაიონების სოციალური უზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოები არც ერთხელ არ გამოსულან ანგარიშით კოლმეურნეობის წევრთა წინაშე.

კოლმეურნეთათვის პენსიების დანიშვნის საქმეში არსებული ნაკლოვანებები ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ მშრომელთა დებუტატების საბჭოების აღმასკომები და მუდმივი კომისიები ჯერ კიდევ სუსტ კონტროლსა და დახმარებას უწევენ სოცუზრუნველყოფის საკოლმეურნეო საბჭოებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) პერიოდულად შეისწავლონ კოლმეურნეობის წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნის მდგომარეობა და დასახონ საჭირო ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) მეტი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეთა სოცუზრუნველყოფის რაიონულ და საკოლმეურნეო საბჭოებს, გააუმჯობესონ სოციალური უზრუნველყო-



ფის ორგანოების მუშაობა, პენსიების დამნიშვნელი კომისიების, სოცურუნველყოფის საკოლმეურნეო ორგანოებისა და კოლმეურნეობების გამგეობების წევრთა სწავლება და ინსტრუქტირება კოლმეურნეთა პენსიებისა და დახმარების შესახებ კანონმდებლობის საკითხებზე;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეოდნენ კოლმეურნეების მიერ საპენსიო დოკუმენტების დროულად წარდგენას პენსიების დამნიშვნელ კომისიაში, მათ სწორად გაფორმებას და შენახვას;

დ) გააძლიერონ კონტროლი საფინანსო ორგანოების მხრივ სოცურუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში კოლმეურნეობათა მიერ ანარიცხების დროულად ჩარიცხვისა და ამ სახსრების სწორად ხარჯვის საქმეზე;

ე) კოლმეურნეებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნის საკითხების შესწავლის და არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების, კოლმეურნეობის წევრთა პენსიებით უზრუნველყოფის საკითხებზე საბჭოებისა და აღმასკომების გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების საქმეში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, საბჭოების ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიები;

ვ) პერიოდულად მოაწყონ კოლმეურნეობის წევრებისათვის პენსიების დამნიშვნელი კომისიებისა და საკოლმეურნეო საბჭოების მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადება.

2. დღევალის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს გააძლიეროს კონტროლი და პრაქტიკული დახმარება მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებების მიმართ საპენსიო კანონმდებლობის სწორად გატარების საქმეში, მიიღოს საჭირო ზომები რაიონული და საქალაქო საქმიანობითი კომისიების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

3. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა 1966 წლის 1 მაისისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბამე.

თბილისი, 1965 წლის 23 დეკემბერი.

დადგინდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
631 ჩადენილ დანაზაულობათა თაობაზე მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვისა და განხილვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანოებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინის-

ტრის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება, აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოები გარკვეულ ყურადღებას უთმობენ ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ მოქალაქეების განცხადებების, საჩივრებისა და სიგნალების აღრიცხვას, მათ დროულად შემოწმებასა და გადაწყვეტას.

მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და სიგნალების შედეგად გამოვლინებული და თავიდან აცილებულია ბევრი სხვადასხვა სახის დანაშაული, მხილებული და დასჯილია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გამტაცებლები, მოძალადეები, კომბინატორები, ხულიგნები და სხვა ამგვარი საქმონები, აღდგენილია მოქალაქეთა კანონიერი უფლებები. მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე 1965 წელს აღკვეთილია დანაშაულთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

მიუხედავად ამისა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებს ამ საქმეში ჯერ კიდევ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები.

მილიციის ბევრ ორგანოში მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებს ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ აღრიცხვენ საერთო ჟურნალში, რაც აძნელებს კონტროლს მათ შემდგომ მსვლელობაზე, ნაკლები ყურადღება ექცევა მოქალაქეთა ამ ხასიათის ზეპირ შეტყობინებათა აღრიცხვას. იშვიათი არ არის შემთხვევები, როდესაც მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებს რეგისტრაციის გარეშე გადასცემენ შემსრულებლებს ან მათი რეგისტრაცია წარმოებს იმის შემდეგ, როცა უშუალო შემსრულებელმა იგი უკან დააბრუნა და სხვ. მაგალითად, ოჩამჩირის რაიონის მილიციის განყოფილებაში მოქ. შ. ჩერქეზიას განცხადება მისი ეზოდან კოლმეურნეობის კუთვნილი ხარის მოპარვის შესახებ არ იყო გატარებული რეგისტრაციაში და ამ განცხადების შემოწმება გაჭიანურდა 4 თვე, ხოლო თელავის რაიონის მილიციის განყოფილებაში ლ. ხომასურიძისა და გ. ქევხიშვილის განცხადებანი რეგისტრაციაში გატარებულია განყოფილებაში მათი მიღებიდან 16 დღის შემდეგ, ე. ი. როცა უშუალო შემსრულებელმა ეს განცხადებები უკან დააბრუნა. ამავე რაიონის სარეგისტრაციო ჟურნალში ხშირ შემთხვევაში არ არის აღნიშნული თარიღი, თუ როდის გადაეცა განცხადებები შემსრულებლებს და ა. შ.

მილიციის ორგანოები ხშირ შემთხვევაში არ იცავენ შეტყობინებებისა და განცხადებების განხილვისათვის კანონით გათვალისწინებულ ვადებს. მაგალითად, წელს 11 თვეში რესპუბლიკის მილიციის ორგანოებმა დადგენილი ვადის დარღვევით განიხილეს შემოსული განცხადებებისა და შეტყობინებების 9,2 პროცენტი.

მილიციის ორგანოების, ზოგიერთი მუშაკი სათანადო მნიშვნელობას არ აძლევს ასეთ განცხადებებსა და შეტყობინებებს, არაგულისხმობენ ეკიდება მათ, სრულყოფილად და დროულად არ აწარმოებს ოპერატიულ-საგამომძიებლო მოქმედებას განცხადებაში ან შეტყობინებაში აღნიშნული ფაქტების დასადგენად, რის გამოც ჭიანჭურდება საქმეთა გამოძიება, იწლება ბოროტმოქმედების კვალი და გაუხსნელი რჩება დანაშაულებრივი ქმედობა, ამასთან გან-

მცხადებლებს ყოველთვის არ ეძლევათ პასუხი მათი განცხადებებისა და საჩივრების შედეგებზე.

მაგალითად, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილებაში რეაგირების გარეშე საქმეში ჩააკერეს მოქალაქეების ტ. საფაროვასა და ი. დრიავეის განცხადებები მათთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებისა და სხეულის დაზიანების შესახებ.

ანალოგიური ბედი ხვდა წილად აგრეთვე კ. პეტროვისა და ლ. ჯმუხაძის განცხადებებს ქ. თბილისის ლენინისა და პირველი მაისის რაიონების მილიციის განყოფილებებში და სხვ.

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრო ჯერ კიდევ სათანადო კონტროლს არ უწევს მილიციის ორგანოებს ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების სწორად და დროულად გადაწყვეტის საქმეში.

აღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგიცაა, რომ პროკურატურის ორგანოები არ ახორციელებენ სათანადო ზედამხედველობას ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებში მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვისა და განხილვის საქმისადმი. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ და იშვიათად ისმენენ აღმასკომის სხდომებზე და სესიებზე ადმინისტრაციულ ორგანოებში მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის საკითხს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს (ამხ. ე. ა. შევარდნაძე):

ა) უმოკლეს ვადაში გაატაროს სათანადო ღონისძიებები მილიციის ორგანოებში მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და სიგნალების აღრიცხვის, მათი დროულად განხილვის, შემოწმებისა და გადაწყვეტის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;

ბ) სისტემატური კონტროლი დააწესოს შემდგომში მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების აღრიცხვისა და დადგენილ ვადაში მათი გადაწყვეტის საქმისადმი; აღკვეთოს მილიციის ორგანოებში რეგისტრაციის გარეშე განცხადებებისა და საჩივრების უშუალო შემსრულებლებზე გადაცემის შემთხვევები;

გ) განსაკუთრებულ კონტროლზე იქნას აყვანილი საჩივრები და განცხადებები, რომლებიც მიუთითებენ კანონის სერიოზულ დარღვევებზე;

დ) მიიღოს სათანადო ზომები იმ მუშაკების მიმართ, რომლებიც გულისხმირად არ ეკიდებიან და აჭიანურებენ დანაშაულობათა შესახებ შეტყობინების განხილვასა და გადაწყვეტას;

ე) მიადწიოს იმას, რომ მილიციის ორგანოებმა საჩივრებზე მიღებული გადაწყვეტილება დროულად აცნობონ მოქალაქეებს, ხოლო საჩივართა უშედეგოდ დატოვების შემთხვევაში მისცენ მათ დასაბუთებული პასუხი.

საქართველოს
განმანათლებლო
მინისტროს
საქართველოს
სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის
თავმჯდომარე

2. საქართველოს სსრ პროკურატურამ (ამხ. პ. ე. ბერძენიშვილი) განამტკიცა როს საპროკურორო ზედამხედველობა ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ მილიციის ორგანოებში მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვისა და მათი დროულად და სწორად გადაწყვეტის საქმისადმი.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს პერიოდულად შეამოწმონ და განიხილონ აღმასკომის სხდომებზე და საბჭოს სესიებზე ადმინისტრაციულ ორგანოებში მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის მდგომარეობა, გამოავლინონ მათი გამომწვევი მიზეზები და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაატარონ კონკრეტული ღონისძიებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწანიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვახაძე**.

6476

თბილისი, 1965 წლის 23 დეკემბერი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

632

ბოლნისის რაიონის ქვეშის სასოფლო საბჭოს სოფელ კაზრეთისა და კაზრეთის მუშათა დასახლების გაერთიანებისა და დაბა კაზრეთის უმჯდომარის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ტერიტორიულად შეზღუდის გამო გაერთიანდნენ ბოლნისის რაიონის ქვეშის სასოფლო საბჭოს სოფელი კაზრეთი და კაზრეთის მუშათა დასახლება და შეიქმნას მათგან დაბა კაზრეთი.

2. გამოეყოს ქვეშის სასოფლო საბჭოს დაბა კაზრეთი და შეიქმნას კაზრეთის სადაბო საბჭო ცენტრით დაბა კაზრეთში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწანიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვახაძე**.

თბილისი, 1965 წლის 23 დეკემბერი.



ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ

633 ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბის დაბად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
გარდაიქმნას ბორჯომის რაიონის სოფელი ახალდაბა დაბად, ხოლო ახალდაბის სასოფლო საბჭო — ახალდაბის სადაბო საბჭოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. ძოწინძი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანცაძე.

თბილისი. 1965 წლის 23 დეკემბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

(საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია)

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

634 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმა.

მუხლი 2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის ძირითადი მაჩვენებლები:

მრეწველობის საერთო პროდუქცია	— 9,5 პროცენტით
სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბან- დებანი	— 10 პროცენტით
ძირითადი ფონდების ამოქმედება	— 12 პროცენტით
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორ- ტის ტვირთზიდვა	— 9,6 პროცენტით

შრომის ნაყოფიერება:

მრეწველობაში	— 4,5 პროცენტით
მშენებლობაში	— 6 პროცენტით
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა	— 7 პროცენტით

მუხლი 3. უზრუნველყოფილ იქნას, რომ 1966 წელს 1965 წელთან შედარებით გადიდდეს:

(წრდა პროცენტებში 1965 წელთან შედარებით)

საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექს- პლოატაციოდ გადაცემა სახელმწიფო გეგმით გათვა- ლისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე	— 6,4 პროცენტით
სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ საბავშვო დაწესებულე- ბებში ადგილების რიცხვი	— 11,3 პროცენტით
გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში მოსწავლეთა რაოდენობა	— 30,2 პროცენტით
უმადლეს სასწავლებლებში სტუდენტთა რაოდენობა	— 2,3 პროცენტით
საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა რაოდენობა	— 9,1 პროცენტით
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუ- შაოთა მოცულობა	— 17 პროცენტით

მუხლი 4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

ა) დააზუსტოს შემდეგში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული დავალებანი მრეწველობის მართვის ორგანოების ახალი სისტემის მიმართ, რომელიც დადგენილია საქართველოს სსრ 1965 წლის 19 ოქტომბრის კანონით;

ბ) განიხილოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში აღნიშნული და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დებუტატების მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათ გარშემო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძმწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი. 1965 წლის 23 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

635 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მოხსენების მიხედვით მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ: სულ შემოსავლის ნაწილში 996.073 ათასი მანეთის ოდენობით და სულ გასავლის ნაწილში 996.073 ათასი მანეთის ოდენობით და, ამას გარდა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაწილი 1967 წლის 1 იანვრისათვის 29.882 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 2. დაწესდეს საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადა-

სახადი და სხვა შემოსავლები სოციალისტური მეურნეობისაგან — სულ 895.306 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — მძიმე მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 407.715 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომათყუყებლობის და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმების და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებებისათვის — სულ 534.070 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით 105.661 ათასი მანეთი.

მუხლი 5. დაწესდეს საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობისა და სასამართლო ორგანოების შესანახავად 20.417 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1966 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 951.771 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 616.200 ათასი მანეთის ოდენობით, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან და დოტაცია საქართველოს სს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 335.571 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1967 წლის 1 იანვრისათვის 18.486 ათასი მანეთი.

მუხლი 7. დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები 1966 წლისათვის შემდეგი თანხებით:

ათას მანეთობით

	შემოსავალი	მათ შორის		გასაველი	საბიუჯეტო სასრუბის გაორდამავალი ნაშთი 1967 წლის 1 იანვრისათვის
		ანარიცხები სახელმწიფო ბადასახადები-დან და შემოსავლები-დან	დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან		
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	39.165,4	33.649,2	—	39.165,4	1.174,9
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	27.438,2	24.184,8	—	27.438,2	823,1
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	12.532,3	7.820,3	3.958,8	12.532,3	376,0
4. ქალაქი თბილისი	99.954,8	85.264,0	—	99.954,8	2.998,9
5. ქალაქი ქუთაისი	13.706,6	10.004,1	—	13.706,6	411,2
6. ქალაქი ფოთი	4.226,3	3.521,0	—	4.226,3	126,8
7. ქალაქი ქიათურა	4.456,6	4.110,2	—	4.456,6	133,7
8. ქალაქი რუსთავი	15.185,7	10.525,0	3.909,9	15.185,7	455,6
9. ქალაქი გორი	3.302,5	2.535,1	—	3.302,5	99,1
10. ქალაქი ტყიბული	3.203,0	2.846,6	71,6	3.203,0	96,2
11. აბაშის რაიონი	1.871,2	1.194,5	525,6	1.871,2	56,1
12. ადიგენის რაიონი	1.305,5	473,8	720,0	1.305,5	39,2
13. ამბროლაურის რაიონი	2.246,1	917,5	1.167,7	2.246,1	67,4
14. ასპინძის რაიონი	1.019,7	205,4	745,5	1.019,7	30,6
15. ახალქალაქის რაიონი	4.117,1	2.980,4	766,1	4.117,1	123,5
16. ახალციხის რაიონი	3.917,3	3.590,1	—	3.917,3	117,5
17. ახმეტის რაიონი	2.585,5	1.088,0	1.302,6	2.585,5	77,6
18. ბოგდანოვკის რაიონი	2.221,2	631,1	1.376,6	2.221,2	66,6
19. ბოლნისის რაიონი	2.794,3	1.603,4	977,6	2.794,3	83,8
20. ბორჯომის რაიონი	2.939,4	2.516,4	—	2.939,4	88,2
21. გარდაბნის რაიონი	6.185,1	5.706,4	—	6.185,1	185,5
22. გეგუქორის რაიონი	3.964,3	1.239,6	2.467,9	3.964,3	118,9
23. გორის რაიონი	4.093,3	2.896,6	904,4	4.093,3	122,8
24. გურჯაანის რაიონი	4.378,2	3.959,1	—	4.378,2	131,3
25. დმანისის რაიონი	2.191,6	668,8	1.386,7	2.191,6	65,7
26. დღუშეთის რაიონი	3.022,5	943,4	1.816,8	3.022,5	90,7
27. ვანის რაიონი	2.595,6	1.305,0	1.136,1	2.595,6	77,9
28. ზესტაფონის რაიონი	4.183,5	3.819,0	—	4.183,5	125,5
29. ზუგდიდის რაიონი	7.583,1	6.724,2	—	7.583,1	227,5
30. თეთრიწყაროს რაიონი	2.787,0	1.010,0	1.516,6	2.787,0	83,6
31. თელავის რაიონი	5.005,9	3.937,4	704,7	5.005,9	150,2
32. თერჯოლის რაიონი	2.337,1	1.338,6	899,2	2.337,1	70,1
33. თიანეთის რაიონი	2.012,1	460,6	1.422,2	2.012,1	60,3
34. ქასპის რაიონი	2.876,0	2.602,6	—	2.876,0	86,3
35. ლაგოდეხის რაიონი	3.134,4	2.870,6	—	3.134,4	94,0
36. ლანჩხუთის რაიონი	2.739,6	1.766,1	710,9	2.739,6	82,2
37. ლენტეხის რაიონი	1.740,4	180,6	1.496,1	1.740,4	52,2
38. მაიაკოვსკის რაიონი	2.340,5	781,0	1.428,8	2.340,5	70,2
39. მარნეულის რაიონი	4.542,4	4.138,7	—	4.542,4	136,3

	შემოსავალი	მათ შორის		გასავალი	საბიუჯეტო სასარგებლო გარდასავალი ნაშთი 1967 წლის 1 იანვრისათვის
		ანარიცხები სხელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან	დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან		
40. მახარაძის რაიონი	5 094,2	4 511,7	—	5 094,2	152,8
41. მესტიის რაიონი	1 810,4	2 421,1	1 517,1	1 810,4	54,3
42. მცხეთის რაიონი	2 574,8	2 057,9	319,3	2 574,8	77,2
43. ონის რაიონი	2 016,6	1 886,6	—	2 016,6	60,5
44. ორჯონიკიძის რაიონი	2 606,2	872,4	1 592,0	2 606,2	78,2
45. სავარჯესო რაიონი	2 492,7	1 724,3	599,6	2 492,7	74,3
46. სამტრედიის რაიონი	3 815,4	3 270,5	—	3 815,4	114,4
47. საჩხერის რაიონი	2 689,0	991,0	1 502,1	2 689,0	80,7
48. სიღნაღის რაიონი	3 269,4	2 341,2	563,9	3 269,4	93,1
49. ქარელის რაიონი	2 613,4	2 406,7	—	2 613,4	78,5
50. ყაზბეგის რაიონი	1 141,2	222,7	862,9	1 141,2	34,2
51. ყვარლის რაიონი	2 531,4	1 058,4	1 270,2	2 531,4	75,9
52. ჩოხატაურის რაიონი	2 579,3	794,0	1 589,4	2 579,3	77,4
53. ჩხოროწყუს რაიონი	2 336,6	681,0	1 504,3	2 336,6	70,1
54. ცაგერის რაიონი	2 057,4	592,0	1 412,2	2 057,4	62,6
55. ცხაქვიას რაიონი	3 754,2	3 320,7	—	3 754,2	112,6
56. წალენჯიხის რაიონი	2 602,1	1 436,0	1 009,1	2 602,1	78,1
57. წალკის რაიონი	3 167,1	978,0	1 977,0	3 167,1	95,0
58. წითელწყაროს რაიონი	2 457,1	1 460,8	762,3	2 457,1	73,7
59. წულეჯიძის რაიონი	2 840,4	848,0	1 720,9	2 840,4	85,2
60. წულტუბოს რაიონი	3 847,6	2 406,5	860,3	3 847,6	115,4
61. ხაშურის რაიონი	3 405,7	2 901,5	135,8	3 405,7	102,2
62. ხობის რაიონი	2 231,5	1 386,2	590,8	2 231,5	66,9
სულ	379 873,0	284 459,4	51 111,6	379 873,0	11 396,0

მუხლი 8. დამტკიცდეს 1966 წლისათვის ანარიცხები საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

- ა) სატყეო შემოსავლიდან 100 პროცენტი;
- ბ) ფულისა და ნივთების ლატარიების შემოსავლიდან 100 პროცენტი;
- გ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცხოლო, უქმრო, მარტონხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან;

	ანარიცხების პროცენტები				
	მოსახლეობის საშუალო-სავლო გადასახადიდან	კოლმეურნეობათა საშუალო-სავლო გადასახადიდან	სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან	სსრკ უცხოეთი, უკრაინა, მაკედონეთი და სერბეთიდან მოქ. გადასახადიდან	ბრუნვის გადასახადიდან
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	40	100	96	89	58,7
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	44	100	100	75	45,2
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	100	100	100	100	100,0
4. ქალაქი თბილისი	8	—	—	78	27,5
5. ქალაქი ქუთაისი	20	—	—	71	15,9
6. ქალაქი ფოთი	40	—	100	99	57,6
7. ქალაქი ჭიათურა	80	—	100	100	74,8
8. ქალაქი რუსთავი	100	—	—	100	100,0
9. ქალაქი გორი	61	—	—	96	25,6
10. ქალაქი ტყიბული	100	100	100	100	100,0
11. აბაშის რაიონი	100	100	100	100	100,0
12. აღივენის რაიონი	100	100	100	100	100,0
13. ამბროლაურის რაიონი	100	100	100	100	100,0
14. ასპინძის რაიონი	100	100	100	100	100,0
15. ახალქალაქის რაიონი	100	100	100	100	100,0
16. ახალციხის რაიონი	100	100	100	100	96,7
17. ახმეტის რაიონი	100	100	100	100	100,0
18. ბოგდანოვკის რაიონი	100	100	100	100	100,0
19. ბოლნისის რაიონი	100	100	100	100	100,0
20. ბორჯომის რაიონი	100	—	100	100	40,6
21. გარდაბნის რაიონი	50	—	100	100	59,3
22. გეგეჭკორის რაიონი	100	100	100	100	100,0
23. გორის რაიონი	100	100	100	100	100,0
24. გურჯაანის რაიონი	50	100	100	100	77,2
25. დმანისის რაიონი	100	100	100	100	100,0
26. დღუშეთის რაიონი	100	100	100	100	100,0
27. ვახის რაიონი	100	100	100	100	100,0
28. ზესტაფონის რაიონი	50	98	100	100	61,0
29. ზუგდიდის რაიონი	50	100	100	100	85,0
30. თეთრიწყაროს რაიონი	100	100	100	100	100,0
31. თელავის რაიონი	100	100	100	100	100,0
32. თერჯოლის რაიონი	100	100	100	100	100,0
33. თიანეთის რაიონი	100	—	100	100	100,0
34. კასპის რაიონი	100	94	100	100	29,7
35. ლაგოდეხის რაიონი	100	100	100	100	31,4
36. ლანჩხუთის რაიონი	100	100	100	100	100,0
37. ლენტეხის რაიონი	100	—	100	100	100,0
38. მიაკოვსკის რაიონი	100	100	100	100	100,0
39. მარნეულის რაიონი	100	100	100	100	78,1

	ანარიცხების პროცენტები				
	მოსახლეობის საშუალო-საქონლო გადასახადიდან	საკომუნალური გადასახადებიდან	სასოფლო-სამეურნეო გადასახადებიდან	სსრკ უცხოეთი, უკრაინა, მარტივი და მცირეფაფხობიან მოქ. გადასახადებიდან	ბრუნვის გადასახადებიდან
40. შახარაძის რაიონი	50	90	50	100	71,1
41. მესტიის რაიონი	100	—	100	100	100,0
42. მცხეთის რაიონი	100	100	100	100	100,0
43. ონის რაიონი	100	100	100	100	94,2
44. ორჯონიკიძის რაიონი	100	100	100	100	100,0
45. სავარეჯოს რაიონი	100	100	100	100	100,0
46. სამტრედიის რაიონი	50	100	100	100	26,6
47. საჩხერის რაიონი	100	100	100	100	100,0
48. სიღნაღის რაიონი	100	100	100	100	100,0
49. ქარელის რაიონი	50	100	100	100	37,7
50. ყაზბეგის რაიონი	100	100	100	100	100,0
51. ყვარლის რაიონი	100	100	100	100	100,0
52. ჩოხატაურის რაიონი	100	100	100	100	100,0
53. ჩხოროწყუს რაიონი	100	100	100	100	100,0
54. ცავერის რაიონი	100	100	100	100	100,0
55. ცხაკაიას რაიონი	50	100	100	100	68,9
56. წალენჯიხის რაიონი	100	100	100	100	100,0
57. წალკის რაიონი	100	100	100	100	100,0
58. წითელწყაროს რაიონი	100	100	100	100	100,0
59. წულუკიძის რაიონი	100	100	100	100	100,0
60. წყალტუბოს რაიონი	100	100	100	100	100,0
61. ხაშურის რაიონი	100	—	100	100	100,0
62. ხობის რაიონი	100	100	100	100	100,0

მუხლი 9. დავალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

ა) საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანოს დაზუსტებანი, რომლებსაც საფუძვლად უდევს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1965 წლის 19 ოქტომბრის კანონი „მრეწველობის მართვის ორგანოების სისტემის შეცვლისა და სახელმწიფო მმართველობის ზოგიერთი სხვა ორგანოს გარდაქმნის შესახებ“, და შესაბამისად შეცვალოს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლები და ხარჯები;

ბ) განიხილოს საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გამო შემოტანილი წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში, აგრეთვე დებუტატთა მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები და მიიღოს მათ გარშემო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვახაძე.

თბილისი, 1965 წლის 23 დეკემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

636 საქართველოს სსრ 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავალში 948.290 ათასი მანეთის, ხარჯებში — 912.684 ათასი მანეთის ოდენობით, შემოსავლის ხარჯებზე 35.606 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვახაძე.

თბილისი, 1965 წლის 23 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

637 საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ

„სსრ კავშირში სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ“ 1965 წლის 9 დეკემბრის სსრ კავშირის კანონის შესაბამისად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. გარდაიქმნას საქართველოს სსრ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები სახალხო კონტროლის ორგანოებად.

მუხლი 2. დაწესდეს, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოებია საქართველოს სსრ სახალხო კონტ-

როლის კომიტეტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო კონტროლის კომიტეტი, სახალხო კონტროლის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, აგრეთვე სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოებთან, საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახალხო კონტროლის ორგანოებია შესაბამისი სახალხო კონტროლის კომიტეტები, ჯგუფები და საგუშაგოები, რომლებიც შეიქმნებიან ავტონომიურ რესპუბლიკებში.

მუხლი მ. სახალხო კონტროლის ორგანოები მოქმედებენ იმ დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწანიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **წ. კვახაძე.**

თბილისი, 1965 წლის 23 დეკემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

638 ამხ. მ. ი. კუჭავას საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დანიშნოს ამხ. მიტროფანე იონას ძე კუჭავა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ, ამასთან დაკავშირებით გათავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწანიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **წ. კვახაძე.**

თბილისი, 1965 წლის 23 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

639 საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლით ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ მიღებულ იქნა საქართველოს სსრ 1965 წლის 23 დეკემბრის კანონები „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ“ და „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერები-

სა და ტექნიკის კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს სათანადო ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ კონსტიტუციის ძირითადი კანონის 50-ე მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 50.** საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო ქმნის საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ მინისტრები;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გაყიდვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების რემონტის ორგანიზაციისა და გამოყენების საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანების — „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკის ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები თანამდებობის მიხედვით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1965 წლის 23 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საპარტველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

640 „საპარტველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს უმჯობესი უმჯობესი“ საპარტველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საპარტველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 56-ე მუხლში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 27 ოქტომბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შექმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 56-ე მუხლს სიტყვების: „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის“ შემდეგ დამატოს სიტყვები: „სასოფლო მშენებლობის და“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1965 წლის 23 დეკემბერი.

დადგინდება საპარტველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

641 ახს. უ. მ. თათარაშვილის საპარტველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრად დანიშნვის შესახებ საპარტველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 27 ოქტომბრის ბრძანებულება ამხ. შოთა მიხეილის ძე თათარაშვილის საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი. 1965 წლის 23 დეკემბერი.

ბ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

642 „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის შემადგენელი წევრებისა და ტექნიკის კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში დამატების შეთანხმების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 30 ოქტომბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის შექმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს შესაბამისი დამატება საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი. 1965 წლის 23 დეკემბერი.

დადგინდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

643 ამხ. ბ. შ. მიქელაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 30 ოქტომბრის ბრძანებულება ამხ. გივი შალვას ძე მიქელაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი. 1965 წლის 23 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

644 „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“ საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონში დამატებითა შეთანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“ საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონში დამატებათა შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1965 წლის 23 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

645 „საქართველოს სსრ ადიგენის, ასპინძისა და შუახევის რაიონების ფაშანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-19 და 21-ე მუხლებში დამატებითა და ცვლილებათა შეთანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ადიგენის, ასპინძისა და შუახევის რაიონების შექმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს სათანადო დამატებანი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-19 და 21-ე მუხლებში და ჩამოყალიბდეს ეს მუხლები შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 19.** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, აჭა-

რის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, სამხრეთ-აღმოსავლეთი ავტონომიური ოლქისაგან, აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოგდანოვცის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, ღმანისის, დუშეთის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თეთრიწყაროს, თელავის, თერჯოლის, თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მარნეულის, მახარაძის, მესტიის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, ქარელის, ყაზბეგის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წალკის, წითელწყაროს, წულუკიძის, წყალტუბოს, ხაშურის, ხობის რაიონებისაგან და ქალაქების: თბილისის, გორის, რუსთავის, ფოთის, ქუთაისის, ტყიბულისა და ჭიათურისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან“;

„**მუხლი 21.** აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: ბათუმის, ქედის, ქობულეთის, შუახევის, ხულოს რაიონებისაგან და ქალაქ ბათუმისაგან, რომელიც რაიონების შემადგენლობაში არ შედის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწანიძე**.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამჩაძე**.

თბილისი. 1965 წლის 23 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

646 „ნარკომანიებისა და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულება „ნარკომანიებისა და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწანიძე**.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამჩაძე**.

თბილისი. 1965 წლის 23 დეკემბერი.

კ ა ნ ო ს ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

647 „ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულება „ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი, 1965 წლის 23 დეკემბერი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

648 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს

მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“

ნესტორ ლავრენტის ძე ჯაფარიძე — კოლმეურნე, სოფელი სადმელი, ამბროლაურის რაიონი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი, 1965 წლის 23 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

649 საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სამხრეთ ოსეთის მასწავლებელთა პირველი ყრილობის ჩატარებასთან დაკავშირებით, სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება:

1. დიმიტრი გიორგის ძე ბესტაევს — ზნაურის რაიონის აგნევის სკოლის დირექტორს.
2. ნინო ანდრიას ასულ გალავანოვას — სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.
3. ირაკლი ნიკოლოზის ძე კულუმბეგოვს — ცხინვალის რაიონის სარაბუკის რვაწლიანი სკოლის დირექტორს.
4. ევგენია მელიტონის ასულ პარასტაევას — ჯავის რაიონის ხვწის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.
5. იულია ზაქარიას ასულ ფოფხაძეს — ქ. ცხინვალის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვავაძე.

თბილისი. 1965 წლის 6 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
650 ამხ. ნ. ვ. მოჯოვეცკაიასათვის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალურ-ვოკალური ხელოვნების დარგში ხანგრძლივი მუშაობისა და წარმატებებისათვის ამხ. ნინო ვიჩესლავის ასულ მოჯოვეცკაიას მიენიჭოს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვავაძე.

თბილისი. 1965 წლის 6 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
651 ამხ. ვ. ბ. ხაჩინაშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ აკუსერ-გინეკოლოგს ამხ. გიორგი გაბრიელის ძე ხეჩინაშვილს მიენიჭოს საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვავაძე.

თბილისი. 1965 წლის 18 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

652 ამხ. ბ. პ. მისხისათვის საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით ამხ. გრიგოლ პართენის ძე მესხს მიენიჭოს საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონდიანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი. 1965 წლის 23 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

653 ამხ. ბ. ი. ბერუღაშას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

აფხაზეთის ასსრ სახალხო მეურნეობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. გიორგი ივანეს ძე ბერუღაშა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონდიანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი. 1965 წლის 4 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

654 ამხ. ა. ა. ჭანჩავაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი ამხ. ანდრია ალექსანდრეს ძე ჭანჩავაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონდიანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი. 1965 წლის 4 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

655 ამხ. ვ. დ. შარაძენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი ამხ. ვლადიმერ დიმიტრის ძე შარაძენიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი. 1965 წლის 4 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

656 ამხ. პ. ს. მებრალიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კარლო სიმონის ძე მეგრელიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი. 1965 წლის 4 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

657 ამხ. ნ. დ. ბოლქვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით დასასვენებელი სახლის „სოხუმის“ დირექტორი ამხ. ნიკოლოზ დიმიტრის ძე ბოლქვაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი. 1965 წლის 4 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

658 გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაარსების ორმოც წელთან დაკავშირებით და ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძმწინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვავაძე.

თბილისი. 1965 წლის 9 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

659 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესაში ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი“ დაარსების ორმოც წელთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ჯონდო ვარდენის ძე გაფრინდაშვილი — განყოფილების გამგე.
2. გიორგი გიორგის ძე გელაშვილი — რედაქტორი.
3. ვლადიმერ ნესტორია ძე გოგაძე — დამკაბადონებელი.
4. ნოდარ პეტრეს ძე ებრაღიძე — ლიტერატურული თანამშრომელი.
5. შიო კონსტანტინეს ძე ლარცულიანი — განყოფილების გამგე.
6. გოგოლა ძუჯუს ასული მზარელუა — უფროსი კორექტორი.
7. კონსტანტინე ვასილის ძე მქედლიშვილი — რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი.
8. ნორა ლავრენტის ასული ნორაკიძე — განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძმწინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვავაძე.

თბილისი. 1965 წლის 9 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

660 ამხ. პ. ს. აბახაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომ-



პარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. პლატონ სილონის ძე აბესაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონდინძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კახაბაძე.

თბილისი. 1965 წლის 18 დეკემბერი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

661 ამხ. ვ. ნ. ვარაზაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სატყეო მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ხეტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მინისტრი ამხ. ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ვარაზაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონდინძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კახაბაძე.

თბილისი. 1965 წლის 18 დეკემბერი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

662 ამხ. ბ. ს. გოგიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე ამხ. გიორგი სიმონის ძე გოგიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონდინძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კახაბაძე.

თბილისი. 1965 წლის 18 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

663 ამხ. მ. თ. ზღაპბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სოხუმის მეთესლეობის სადგურის დირექტორი ამხ. მიხეილ თემურის ძე ზღაპბა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძმწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი. 1965 წლის 18 დეკემბერი. -

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

664 ამხ. ა. დ. გონაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მარტყოფის მებოსტნეობა-მერძეეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ალექსანდრე დიმიტრის ძე გონაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძმწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი. 1965 წლის 18 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

665 ამხ. ა. ბ. ჯანუაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ფოთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ალექსანდრე ბათლომეს ძე ჯანუაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძმწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი. 1965 წლის 18 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

666 მწვარალ ა. ა. გურჯიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ლიტერატურაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი არჩილ ალექსანდრეს ძე გურჯიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამახია.

თბილისი, 1965 წლის 21 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

667 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

გორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო წყალსადენის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. შალვა გიორგის ძე აბულაძე — გორის რაიონის სოფელ ფხვენისის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

2. ვლადიმერ ლუკას ძე ბაბილუა — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ № 6 სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

3. თათარ სერგოს ძე გამხიტავილი — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ № 6 სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

4. ალიოზ გიორგის ძე ზურაბაშვილი — გორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო წყალსადენის მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარე.

5. ნიკოლოზ გიორგის ძე კილაბერიძე — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ № 6 სამმართველოს მთავარი მექანიკოსი.

6. მიხეილ სიმონის ძე კირვალიძე — გორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო წყალსადენის პროექტის მთავარი ინჟინერი.

7. ზაქარია ცაკას ძე მარიამიძე — გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების მერეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

8. ერმალოზ ივანეს ძე მელიქიძე — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ № 6 სამმართველოს დურგალი.

9. გოდერძი ალექსის ძე **ულუმბელაშვილი** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ № 6 სამმართველოს მეთარმეტურე.

10. შალვა ივანეს ძე **ყიასაშვილი** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ № 6 სამმართველოს უფროსი.

11. სარდიონ ზაქარიას ძე **შატაკიშვილი** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ № 6 სამმართველოს ბრიგადირი.

12. პიმენ ნიკოლოზის ძე **ჩიხლაძე** — გორის რაიონის სოფელ ტყვიავის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

13. ნიკოლოზ გიორგის ძე **ჩუბინიშვილი** — გორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო წყალსადენის სამშენებლო საბჭოს თავმჯდომარე.

14. ალექსი ალექსის ძე **ჩუბინიძე** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ № 6 სამმართველოს მებუღლოზერე.

15. ვასილ ზაქარიას ძე **ჭოველიძე** — გორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო წყალსადენის მშენებლობის კომიტეტის მძლოლი.

16. გაიოზ იოსების ძე **ჯალაბაძე** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ № 6 სამმართველოს მუშა.

17. გიორგი ვლადიმერის ძე **ჯოჯიშვილი** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ № 6 სამმართველოს მუშა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ძაბაძე.

თბილისი. 1965 წლის 23 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

668 აშხ. მ. ა. ჯიბუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის დირექტორი აშხ. მიხეილ არტემის ძე ჯიბუტი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ძაბაძე.

თბილისი. 1965 წლის 25 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

669 ამხ. ა. ს. ბეჭაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის თეთრიწყაროს რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ალექსი სიმონის ძე ბეჭაშვირი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი. 1965 წლის 27 დეკემბერი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

670 ამხ. ე. გ. ჭურციკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ამხ. ევგენია გიორგის ასული ჭურციკიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი. 1965 წლის 27 დეკემბერი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

671 ამხ. მ. პ. ბალათურისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების გამგე ამხ. მიხეილ პორფირეს ძე ბალათურია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი. 1965 წლის 30 დეკემბერი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

672 ამხ. მ. ს. ებრაღიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პილოტ-ინჟინერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ტრესტ „საქპილოტ-ინჟინერგომშენის“ მთავარი ინჟინერი ამხ. მირიან სილოვანის ძე ებრაღიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძმუწინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამჩაძე.

თბილისი. 1965 წლის 30 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

673 ამხ. ი. ვ. თანდილაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსპექტორი ამხ. ივანე ვასილის ძე თანდილაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძმუწინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამჩაძე.

თბილისი. 1965 წლის 30 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

674 ამხ. თ. შ. ლეჟავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით პერსონალური პენსიონერი ამხ. თამარ შერბაკოს ასული ლეჟავა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძმუწინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამჩაძე.

თბილისი. 1965 წლის 30 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

675 ამხ. მ. შ. სარქისიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ახალქალაქის რაიონის სოფელ ზაყვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მათევოს უნანის ძე სარქისიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანაცაძე.

თბილისი. 1965 წლის 30 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

676 ამხ. ვ. ბ. ტაბანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის სატრანსპორტო სამშენებლო ტრესტის № 131 სამშენებლო სამმართველოს უფროსი ამხ. ვიქტორ გიორგის ძე ტაბანაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანაცაძე.

თბილისი. 1965 წლის 30 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

677 ამხ. ა. ი. ჩარკვიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მშრომელთა დეპუტატების მესტიის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ალექსანდრე ილიას ძე ჩარკვიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანაცაძე.

თბილისი. 1965 წლის 30 დეკემბერი.

ბანუოფილება მისამ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ დეპუტატ დ. გელაშვილის თავმჯდომარეობით დაიწყო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებისა და საქართველოს სსრ 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა.

კომისიაზე მოსმენილ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. დ. კეშელავას და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილის ამხ. ვ. ტრაპაიძის მოხსენებანი.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა გ. ჯიბლაძემ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა მ. ღვინჯილიამ, კომუნალური მეურნეობის მინისტრმა ვ. პაატაშვილმა, განათლების მინისტრის მოადგილემ უ. ობოლაძემ, ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ო. იოსელიანმა, კულტურის მინისტრის მოადგილემ ვ. იაქაშვილმა, აფხაზეთის ასსრ ფინანსთა მინისტრმა დ. ჯიჭონაიამ, საქართველოს კპ ამბროლაურის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ბიბილაშვილმა, გურჯაანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ნასარიძემ, მარნეულის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ყულიევმა, წალენჯიხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. კვარაცხელიამ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგემ კ. სოხაძემ, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგემ ი. ლოხოვმა, ბორჯომის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. გობრონიძემ და სხვებმა.

საბიუჯეტო კომისიამ გამოყო დამატებითი შემოსავლების გამოვლინებისა და გამოვლინებული თანხების განმანაწილებელი ქვეკომისიები.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ზ. კვაჭაძემ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიაში

21 დეკემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის სხდომა. კომისიამ განიხილა საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონში კოლმეურნეობების წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების დანიშვნის საკითხი, აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის ფიზიოთერაპიული მომსახურების მდგომარეობა.



